

კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

პარტიამ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა სპეციალური ხედვა, კონცეფცია, რომელიც პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია:

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ოთხწლიანი სტრატეგიის შემუშავება.
- ბიუჯეტის კანონპროექტის საჯარო განხილვა ბიზნესის სექტორის, არასამთავრობო სექტორის, მედიისა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით კანონპროექტის წარდგენამდე პარლამენტში.
- სატრანსპორტო სექტორის და დარგის, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული დანიშნულების, მათ შორის სატრანზიტო მნიშვნელობისთვის პრიორიტეტების მინიჭება.
- იმპორტის ეტაპობრივად შემცირება ქვეყნის შიგნით არსებული/შექმნილი ნაწარმით. შესაბამისი რეგულაციების შემუშავება, რომლებიც დაიცავს და ხელს შეუწყობს ეროვნულ წარმოებას.
- ექსპორტის ზრდის და დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საფუძველზე უარყოფითი სალდოს შემცირება.

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

ეს ღონისძიებები არის შემდეგი:

- ინვესტორთა მოზიდვის მიზნით სპეციალური სამთავრობო პროგრამის მომზადება.
- საგადასახადო წნეხის შემცირება, კერძოდ, საშუალო და მცირე ბიზნესის გათავისუფლება გადასახადისგან და მათი მხოლოდ ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრა.
- 70% გადასახადის აკუმულირება 30% გადასახადის გადამხდელისგან.
- სათამაშო ბიზნესისთვის საგადასახადო განაკვეთის, მათ შორის მოსაკრებლების გაზრდა მინიმუმ ხუთჯერ.

3. გეგმავეთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

სოფლის მეურნეობის განვითარება მიგვაჩნია პრიორიტეტულად და მნიშვნელოვნად. ძლიერი სოფელი არის წინაპირობა ძლიერი ქალაქის, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის, რომელიც საქართველოს ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. სწორი პოლიტიკა და რესურსების სწორად მიმართვა სოფლის მეურნეობაში და ეფექტიანი მონიტორინგი შედეგის სწრაფად მიღწევას განაპირობებს.

სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა იქნება აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება. განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის რეფორმა, რომელმაც უნდა აღმოფხვრას სასოფლო მიწების ფრაგმენტაცია. შემუშავდება ფართობების კონსოლიდაციის გეგმა.

ხელს შეუწყობთ მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას, შემნახავი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება ინტეგრაცია, რაც აამაღლებს წარმოების კონკურენტუნარიანობას.

მცირემიწიანი ფერმერებისთვის ამოქმედდება საყოველთაო აგროდაზღვევის პროექტი, აღარ დარჩება დაუზღვეველი მოსავალი, რაც მოსახლეობას მნიშვნელოვან ზარალს ააცილებს. გაგრძელდება და კიდევ უფრო დაიხვეწება აგროდაზღვევის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ინტერესების დაცვას და აგროსექტორში მეტი ფინანსების მოზიდვას.

გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟო) სისტემები. დაინერგება მორწყვის თანამედროვე სისტემები. განხორციელდება ეფექტიანი პროექტები წყალშეგროვების სფეროში.

გაგრძელდება მუშაობა ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით, რისთვისაც განმტკიცდება ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ამაღლება ფერმერთა შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია.

მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

გაგრძელდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის კუთხით DCFTA-ს გეგმით გათვალისწინებული ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის დაახლოების პროცესი.

გაგრძელდება მუშაობა ბიოაგრომეურნეობების, ქართული წარმოშობის განვითარებისთვის. შემუშავდება შესაბამისი საერთო-ეროვნული და რეგიონული პროგრამები. დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო ბაზა. ჩატარდება საერთაშორისო ბაზრის ანალიზი, სისტემური კვლევები და მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები.

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

ტურიზმის ხელშეწყობა განსაკუთრებული რესურსია ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული სექტორის ხელშეწყობა. ამ მიზნით, სახელმწიფო გასცემს მიზნობრივ კრედიტებს უმნიშვნელო საპროცენტო სარგებლით, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორის განვითარებას.

ამ სფეროს მხარდაჭერა უნდა გადაწყდეს ინფრასტრუქტურული პროექტების და საერთო საზოგადოებრივი სერვისების განვითარების გზით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმს როგორც სამართლიანი საგადასახადო სისტემით, გადასახადების შემცირებითა და დამწყები პროექტების გადასახადებისგან გათავისუფლების გზით, ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებითა და მცირე საოჯახო პროექტების დახმარებით.

5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშეღავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?

პანდემიის ფაქტორი განიხილება როგორც ფორსმაჟორული ვითარება, რაც ნიშნავს ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქალაქეების მხრიდან აღებული საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. სამწუხაროდ, ეს გარემოება არ იქნა გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევებში, რაც უსამართლოდ მიგვაჩნია. ჩვენი ამოცანაა, დავხმაროთ ჩვენს მოქალაქეებს, რათა თავიდან აიცილონ პანდემიით გამოწვეული ზიანი.

რაც შეეხება შეღავათებს, ჩვენ მხარს ვუჭერთ პანდემიის პერიოდში მაქსიმალურად შემსუბუქდეს საგადასახადო ტვირთი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, მოქალაქეებს გადაუვადდეთ ვალდებულებების შესრულება საფინანსო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან.

პოსტკრიზისული გეგმის ფარგლებში დაზარალებულ მოქალაქეებს დახმარება უნდა გაეწიოს იმ ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც გამოთავისუფლდება ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვის შედეგად.

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გარდაქმნა და გაძლიერება, პირველადი ჯანდაცვისა და ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირებასთან ერთად, იყო პარტიის ჯანდაცვის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე.

ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ ჯანდაცვის სერვისები. მთავარი ამოცანაა ვირუსის მიერ გამოწვეული ზიანის თავიდან აცილება. ეს არ არის მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის ამოცანა, ის ასევე ითვალისწინებს საზოგადოების ყველა იმ სექტორის ჩართულობას, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ოთხი ძირითადი მიმართულებაა:

- პირობების შექმნა იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.
- პროფილაქტიკური ღონისძიებების პრიორიტეტად გამოცხადება.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაობაში ცოდნისა და გამოცდილების როლის გაზრდა.

შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- ადგილობრივი ჯანდაცვის სერვისების, მათ შორის პროფილაქტიკური ჯანდაცვის სერვისების ინტეგრირება ადგილობრივი თვითმმართველობის დაგეგმარების სისტემებში.
- ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სტრატეგიის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის გაძლიერებას და ამისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას.
- თამბაქოს მავნე ზემოქმედების პრევენციის პროგრამის შემდგომი დახვეწა.
- ალკოჰოლის ხელმისაწვდომობის შემცირების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ფასების რეგულაციას დაეფუძნება.
- ნარკოპოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ნაწილის, შემუშავება.
- საგანგებო სიტუაციებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნისა და რეაგირების გასაუმჯობესებლად სპეციალური გეგმის შემუშავება.

ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს სახელმწიფო და ადგილობრივ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემებს, უკეთესად მოემზადონ ისეთი სიტუაციებისთვის, როგორცაა პანდემია და უფრო სწრაფად განახორციელონ ყველა ის საჭირო ღონისძიება, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების ჯანმრთელობაზე.

საგანგებო სიტუაციების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტები და დამხმარე კადრები. გადაიდგმება ნაბიჯები იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო ანაზღაურება, მხარდაჭერა და მოტივაცია. აუცილებელია სპეციალისტების ტრენინგი და დამცავი საშუალებებით მათი აღჭურვა.

ხელი შეეწყობა ჯანდაცვის სისტემის დიგიტალიზაციას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტიანი რეაგირების მხარდასაჭერად.

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა მოხერხდა მოკლე დროში, თუმცა პრობლემა იყო ცვლილებების ფრაგმენტულად მიღება და არა ერთიანი პოლიტიკის ჭრილში. ჩვენ ვგეგმავთ შევქმნათ ახალი სტრატეგია, რომელიც ერთ დიდ სურათად წარმოაჩენს გრძელვადიან ხედვას და ყველა ცვლილება განიხილება სწორედ ერთიანი ხედვის ჭრილში. ჩვენი გეგმის მიხედვით გადაუდებელი ამოცანაა ქვეყნის სრული ინტერნეტიზაცია, რაც აუცილებელია დისტანციური სწავლებისთვის. დავენერგავთ მონიტორინგის ეფექტიან სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხარისხის კონტროლი და ყველა მოსწავლისა და სტუდენტისთვის დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობა.

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პარტიის გრძელვადიანი ხედვაა განათლების არა ფრაგმენტული, არამედ სისტემური რეფორმის გატარება. რეფორმის ჭრილში უნდა მოიაზრებოდეს ყველა გამოწვევა, რომლებიც ქვეყანას პანდემიის პირველი ტალღის დროს შეექმნა.

პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

ჩვენი პარტიის მთავარი პრიორიტეტია მართლმსაჯულების რეფორმა და ამ რეფორმის შედეგად დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნა. რეფორმაში მოიაზრება პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების პროცესის ბოლომდე მიყვანა და ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის მიღწევა ადამიანის უფლებათა დაცვის პრიმატი. მართლმსაჯულების რეფორმა გულისხმობს კონსტიტუციურ ცვლილებებსაც, კერძოდ,

კონსტიტუციით უნდა შეიცვალოს სასამართლოს სისტემური რეფორმის დასრულებამდე მოსამართლეთა უვადო არჩევის წესი ვადიანი არჩევით. ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს სასამართლოში ისეთი მოსამართლეების არჩევას, რომლებსაც საზოგადოება ენდობა მათი კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების ტესტის გათვალისწინებით. კონსტიტუციით უნდა დარეგულირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასამდიერებლად?

საჭიროა განხორციელდეს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი რეფორმები სასამართლოს მოკლევადიანი რეფორმა:

- საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება;
- რეფორმის განხორციელებამდე უნდა შეჩერდეს დარჩენილ ვაკანსიებზე მოსამართლეების შერჩევა, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ისე პარლამენტის მიერ;
- პარლამენტმა ხელახლა უნდა ჩამოაყალიბოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რათა საბჭო გათავისუფლდეს კლანური მმართველობისგან;
- საკონსტიტუციო ცვლილებებით უნდა გადავადდეს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა და ყველა მოსამართლის გამწესება მოხდეს ვადით (მაგ 10 წელი).

სასამართლო რეფორმის გრძელვადიანი გეგმა:

- სასამართლო ხელისუფლების რეალური ცვლილებისთვის აუცილებელია ახალი მოსამართლეების მომზადება და გამწესება გამოსაცდელი სამწლიანი ვადით (კონსტიტუციის გარდამავალი დებულებებით 2024 წლამდე);
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა (ე.წ. ბორდოს მოდელი), რათა გაიზარდოს სწავლების ხარისხი და საგამოცდო სისტემა;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა უნდა იყოს დამოუკიდებელი იუსტიციის საბჭოსგან;
- საჭიროა სასამართლოს დაემატოს მინიმუმ 100 ახალი მოსამართლე;
- გასატარებელია ცვლილებები ორგანულ კანონში, რათა დარეგულირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი;
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ უნდა ჰქონდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სიის ერთპიროვნულად დაკომპლექტების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია ეუთო/ოდირის რეკომენდაციები;
- აუცილებელია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის იუსტიციის საბჭოსგან დისტანცირება, მეტი დამოუკიდებლობა და გარე კონტროლი. არამოსამართლე წევრების როლის გაზრდა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის წესი:

- უნდა შეიცვალოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის წესი.
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც იყო იმ საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა.
- გადაწყვეტილება პარლამენტისთვის მოსამართლეობის კანდიდატის წარდგენის შესახებ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა არანაკლებ ორი მესამედი და არამოსამართლე წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.
- მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ კანდიდატთა განხილვის დროს საჯაროობისა და მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

პარტიის ხედვა ამ მხრივ არის მკაფიო და პრინციპული. საჭიროა გაიზარდოს როგორც პარლამენტის სახედამხედველო როლი საგამომიებო და უსაფრთხოების ორგანოებზე, ისე სახელმწიფო ინსპექტორის მანდატის გასაძლიერებლად. ცალკე უნდა გამოიყოს სახელმწიფო ინსპექტორის მანდატისგან საგამომიებო მექანიზმი და დამოუკიდებლად არსებობდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

პრინციპულია იმ საქმეების გამოძიება, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას ეხება. დაუსჯელობის სინდრომი სახიფათოა პრევენციის თვალსაზრისით. შესაბამისად, პრიორიტეტული იქნება მსგავსი დანაშაულობების ბოლომდე გამოძიება და დამნაშავეთა სამართლიანი პასუხისმგებლობა. ჩვენი ინიციატივაა საპარლამენტო სახედამხედველო კომიტეტის შექმნა, რაც გაზრდის კონტროლსა და ზედამხედველობას.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

აუცილებელია სამართლიანი საარჩევნო გარემოსა და სისტემის უზრუნველყოფა. არჩევნები უნდა გაიმართოს თავისუფალ გარემოში ყოველგვარი წნეხისა თუ იძულების გარეშე. პარტია მხარს დაუჭერს არა შერეულ საარჩევნო სისტემას, არამედ პროპორციული სისტემის დანერგვას და თანაბარი, კონკურენტული გარემოს შექმნას ყველა მონაწილისთვის.

ჩვენი პარტიისთვის პრინციპულია ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესრულება და ამ გზით საარჩევნო სისტემის დახვეწა; აგრეთვე ხმის დაცვის მექანიზმის გაძლიერება, რის გამოც ჩვენ მიერ ინიცირებულია ახალი საკანონმდებლო ინიციატივა. თანაბარი გარემო და ყველა მონაწილე პარტიისთვის საეთერო დროის გამოყოფა ამომრჩევლის უკეთ ინფორმირების მიზნით.

პასუხისმგებლობის გამკაცრება არჩევნების მონაცემების გაყალბების გამო. არჩევნები უნდა გახდეს მოქალაქისთვის მისი მომავლის უკეთესობისკენ შეცვლის გზა და აუცილებელია ამის პოპულარიზება.

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

განათლება ქვეყნის განვითარებისა და სიძლიერის ქვაკუთხეა. განათლების პირველ საფეხურად სწორედ სკოლამდელი განათლება უნდა განიხილებოდეს. სკოლამდელი დაწესებულებების რეფორმა უმნიშვნელოვანესია და ჩვენი პარტიის განსაკუთრებული არჩევანია. ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბარი მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ყველა საჯარო და კერძო ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში იმოქმედებს ერთიანი ხარისხის სტანდარტები. დაწესდება აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტი. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი დაწესებულებები სწორედ ახალი სტანდარტების მიხედვით აშენდება.

ზოგადი განათლება:

- ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი და საყოველთაო ხელმისაწვდომობა პრიორიტეტი იქნება. ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, დაინერგება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები.
- ხარისხის ამაღლების მიზნით შეიქმნება ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამები და სახელმძღვანელოები.
- სკოლებში განსაკუთრებით გაძლიერდება ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება და სახელოვნებო მიმართულებები.
- ჩვენ ვიზრუნებთ პედაგოგების პროფესიულ სტანდარტზე.

სწავლება:

- სწავლების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი. მნიშვნელოვნად გაძლიერდება სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები.
- მნიშვნელოვანი ინვესტიციები მოხმარდება უახლესი სტანდარტების შესაბამისად სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის ახალი სკოლების მშენებლობას.
- ამოქმედდება მცირეკონტინგენტის, მაღალმთიანი და სოფლის სკოლების გაძლიერების პროგრამები.

პროფესიული განათლება:

- პროფესიული განათლება ფოკუსირებული იქნება როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებებზე.
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეეწყობათ მოამზადონ კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ამოქმედდება პროფესიული განვითარების მწყობრი სისტემა, სახელფასო პოლიტიკა დაეფუძნება ცოდნის, გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს.

უმაღლესი განათლება:

- უმაღლესი განათლების დაფინანსება ორიენტირებული იქნება ქვეყნის განვითარების საჭიროებებზე, საზოგადოების პრიორიტეტებსა და ეკონომიკის გაძლიერებაზე. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები.
- ჩვენ განსაკუთრებულად შევუწყობთ ხელს უმაღლესი განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის ზრდას.

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარამეტრები. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 17%-ით.

7. დაასახელოთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

ჩვენი პოზიციაა ეტაპობრივად, პირველი 4 წლის განმავლობაში მშპ-სთან მიმართებით სახელმწიფო ხარჯების მაჩვენებელმა მიაღწიოს 35%-ს.

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

პარტიის ხედვაა შეამციროს ქვეყნის საგარეო ვალი ეტაპობრივად, ამავდროულად, მსხვილი ინფრასტრუქტურული და სტრატეგიული პროექტების განხორციელების მიზნით მოიზიდოს საერთაშორისო პარტნიორები და დონორები. შევქმნით ეფექტიან და ქმედით მონიტორინგის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული საერთაშორისო პროექტების შესრულების მაღალ სტანდარტს.

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

აუცილებელია საჯარო მოხელეების დეპოლიტიზება. საჯარო მოხელე უნდა იყოს დაცული და მას კანონი უნდა უქმნიდეს დაცვის მყარ გარანტიებს. საჯარო სამსახურები უნდა ზრუნავდნენ მოხელეების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე. საჭიროა საჯარო სამსახურის რეფორმა განხორციელდეს სრულად და გავრცელდეს ყველა სეგმენტზე. სამწუხაროდ, რეფორმის პროცესში დაშვებული გამონაკლისებისა და სხვადასხვა უწყების ინტერესთა ლობირების გამო რეფორმის ეფექტურობა ეჭვქვეშ დადგა. საჭიროა სისტემის იმგვარი რეფორმა, რომ საჯარო სამსახურში

დასაქმებულებს შეექმნათ ღირსეული პირობები, თუმცა მათი რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელ სტანდარტს/ნორმას.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ ჯანდაცვის სერვისები და კოორდინაცია გავუწიოთ ჯანმრთელობის დაცვის უფრო თანაბარ და სამართლიან განაწილებას. მთავარი ამოცანაა დაავადების მიერ გამოწვეული ზიანის თავიდან აცილება. ეს არ არის მხოლოდ ჯანდაცვის სამსახურის ამოცანა, ის ასევე ითვალისწინებს საზოგადოების ყველა იმ სექტორის ჩართულობას, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ოთხი ძირითადი მიმართულებაა:

- პირობების შექმნა, რომ ხელი შეეწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.
- პროფილაქტიკური ღონისძიებების პრიორიტეტად გამოცხადება.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის გაძლიერება ადგილობრივ დონეებზე.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში ცოდნისა და გამოცდილების როლის გაზრდა.

შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- ადგილობრივი ჯანდაცვის სერვისების, მათ შორის პროფილაქტიკური ჯანდაცვის სერვისების ინტეგრირება ადგილობრივი თვითმმართველობის დაგეგმარების სისტემებში.
- ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სტრატეგიის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის გაძლიერებას და შესაბამისი ხელშემწყობი პირობების შექმნას. თამბაქოს მავნე ზემოქმედების პრევენციის პროგრამის შემდგომი დახვეწა.
- ალკოჰოლის ხელმისაწვდომობის შემცირების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ფასების რეგულაციას დაეფუძნება. ნარკოპოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ნაწილის, შემუშავება.
- საგანგებო სიტუაციებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნისა და რეაგირების გასაუმჯობესებლად სპეციალური გეგმის შემუშავება.

ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს სახელმწიფო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემებს, უკეთესად მოემზადონ ისეთი სიტუაციებისთვის, როგორც არის, მაგალითად, კოვიდ პანდემია; უფრო სწრაფად განახორციელონ ყველა ის საჭირო ღონისძიება, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების ჯანმრთელობაზე. ღონისძიებების კომპლექსი შემუშავდება/გატარდება იმ

შეთანხმებების ფარგლებში, რომლებსაც ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციები (IHR) ითვალისწინებს.

საგანგებო სიტუაციების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტები და დამხმარე კადრები. გადაიდგმება ნაბიჯები იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო ანაზღაურება, მხარდაჭერა და გაუჩნდეთ მოტივაცია. აუცილებელია სპეციალისტების ტრენინგი და დამცავი საშუალებებით მათი აღჭურვა.

ხელი შეეწყობა ჯანდაცვის სისტემის დიგიტალიზაციას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტური რეაგირების მხარდასაჭერად.

2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

ჩვენი პრიორიტეტია მოსახლეობის სოციალური დაცვის მყარი სისტემის შექმნა. გაიზრდება ყველა კატეგორიის პენსია. გაიზრდება როგორც საპენსიო ასაკის მიხედვით დანიშნული, ისე მთაში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა პენსია. გადაიხედება მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა პენსიაც.

პარტიის სოციალური დაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: სიდატაკის დაძლევა და სიღარიბის შემცირება, სოციალური დახმარების სისტემის ეფექტიანობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, დასაქმების მოტივაციის გაზრდა და ხელშეწყობა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

- დაიხვეწება სოციალური დაცვის სისტემა; ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უზრუნველყოფილი იქნება სისტემის ფუნქციონირება იმგვარად, რომ გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტორები; გამკაცრდება მონიტორინგის სისტემა.
- დაინერგება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ახალი მოდელი, რომელიც საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტია გახდება. დაგროვებითი სისტემა გულისხმობს თანადაფინანსებას დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან.
- დაინერგება დევნილთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის ეფექტიანი პოლიტიკა.
- მნიშვნელოვნად გაძლიერდება მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. გაგრძელდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი.
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების როლი.
- სახელმწიფო წახალისებს მრავალშვილიანობას.
- მომზადდება სოციალური პაკეტი მრავალშვილიანი მშობლისთვის.

- გაძლიერდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სოციალური პროგრამები დემოგრაფიული მდგომარეობის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. გაძლიერდება ხანდაზმულთა პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულება, შინ მოვლის პროგრამები. პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებით გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი;
- გამკაცრდება რეგულაციები აზარტული თამაშების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კუთხით, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან და დამოკიდებულ პირებთან მიმართებით. გამკაცრდება სახელმწიფო კონტროლი რეგულაციების შესრულებაზე. გაძლიერდება პრევენციული მექანიზმები, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, აზარტულ თამაშებში ჩაბმა.
- განხორციელდება ქმედითი დასაქმების პოლიტიკა. ამისათვის, გაძლიერდება ინსტიტუციური მექანიზმი და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

მნიშვნელოვანია დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სოციალური და პოლიტიკური უფლებების რეალიზება, საცხოვრისის გაუმჯობესება. იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ნორმალური საცხოვრებელი პირობები, აუცილებლად მოვუგვარებთ ამ პრობლემებს. დევნილთათვის სამუშაო ადგილების შეთავაზება უნდა იყოს სახელმწიფოს დასაქმების პოლიტიკის პრიორიტეტი. სპეციალური ფორმატები უნდა შეიქმნას დევნილთა პრობლემების გადასაწყვეტად.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში. პრიორიტეტული გახდება სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლება. ეს გადაუდებელი ამოცანაა, რადგან ქართული ენის არცოდნა წინააღმდეგობას უქმნის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფოს ცხოვრებაში. შესაბამისად, გაიზრდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების ეფექტიანობა, გაფართოვდება წვდომა სახელმწიფო ენის პროგრამებზე აკადემიური პროცესის მიღმა. უზრუნველყოფილი იქნება ქართული ენის მიზნობრივი სწავლება საჯარო სექტორში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებისთვის გაუმჯობესდება ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობა. განათლების სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები იმისთვის, რომ

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა განათლების ყველა საფეხურზე.

გაუმჯობესდება მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა, რაც წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი წინაპირობაა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის, სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის სახელმწიფოს შესაბამის პროგრამებსა და სერვისებზე მათთვის გასაგებ ენაზე სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდით.

უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობები, ტოლერანტული გარემოს წახალისება მთლიანად საზოგადოებაში.

5. პარლამენტაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), როლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი საკანონმდებლო ორგანოში საგანგაშოა. ამ მხრივ საქართველოს ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში. გენდერული კვოტის თაობაზე პარლამენტში წარდგენილი გვაქვს პროექტი, რომლის თანახმადაც, ყოველ სამ კანდიდატს შორის ერთი უნდა იყოს ქალი. სამწუხაროდ, ამ პროექტს გენდერული საბჭოს უმრავლესობის წევრებმაც არ დაუჭირეს მხარი. გამარჯვების შემთხვევაში ამ მექანიზმს დავნერგავთ. პარტია თავად აპირებს ამ პრინციპის დანერგვას საარჩევნო სიის ფორმირების დროს. ასევე ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გასაძლიერებლად შევქმნით სხვადასხვა პლატფორმას, მოვიზიდავთ ქალ კანდიდატებს და მოვამზადებთ მათ პოლიტიკაში აქტიური ჩართულობისთვის.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

ჩვენი პარტიის ლიდერის, ეკა ბესელიას ინიციატივით მიღებულია რეფორმა სკოლამდელი დაწესებულებების სისტემური რეფორმის თაობაზე. რეფორმა ეფუძნება გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციას და ბავშვის საუკეთესო უფლებების დაცვას. რეფორმა გულისხმობს განათლების, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, კვების, ჰიგიენის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ევროპული სტანდარტებით უზრუნველყოფას, ინკლუზიურ განათლებასა და სერვისებით უზრუნველყოფას. პრობლემაა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკმაოდ მაღალი სტატისტიკა. პარტიის პრიორიტეტი იქნება შეიმუშაოს ქმედითი მექანიზმი ბავშვთა ძალადობის აღსაკვეთად.

7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

კულტურას სჭირდება განსაკუთრებული ზრუნვა, საქართველოს კულტურული იდენტობის პოპულარიზება და ხელშეწყობა. კულტურა ცალკე უნდა გამოეყოს სხვა სფეროებს და მკაფიოდ განისაზღვროს სახელმწიფოს გრძელვადიანი პოლიტიკა ამ მიმართულებით.

- გაიზრდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროს დაფინანსება.
- დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი, რომელიც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სათანადო საკანონმდებლო საფუძვლებს.
- კულტურის მართვა გახდება უფრო ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური. გაიზრდება ექსპერტთა და პროფესიონალობა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების, დარგობრივი სტრატეგიების შემუშავების პროცესში.
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისთვის.
- განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. დიდი ძალისხმევა მოხმარდება კულტურის პოპულარიზაციას მოსახლეობის ფართო ფენებში, ხელი შეეწყობა მედიისა და მაუწყებლის პოტენციალის გამოყენებას კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის.
- აუცილებელია კულტურის ინტეგრირება სხვა დარგებთან, განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკაში. გაძლიერდება კომუნიკაცია კულტურის სფეროს მუშაკებსა და ბიზნეს სტრუქტურებს შორის, განმტკიცდება პარტნიორობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის.
- ხელი შეეწყობა კულტურის სფეროს პოტენციალის სამეწარმეო მიმართულებით ათვისებას, მათ შორის რეწვის ტრადიციული ეროვნული მიმართულებით.
- ხელს შევუწყობთ შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის საჭირო სივრცეებსა და დაწესებულებებს: ლაბორატორიებს, ინკუბატორებს.
- შემუშავდება შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისების მექანიზმები.
- გაუმჯობესდება კულტურის საექსპორტო პოტენციალის ათვისების დონე, ასევე ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაცია და მისი გლობალურ კონტექსტში წარმოჩენა.
- განხორციელდება პროექტები კულტურის დიგიტალიზაციის ხელშესაწყობად.
- უზრუნველყოფთ ნიჭიერ ხელოვანთა მხარდაჭერას.
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.
- უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- შემუშავდება კულტურის მოღვაწეთა სოციალური დაცვის დამატებითი მექანიზმები.

8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

გარემოს დაცვა განსაზღვრავს საზოგადოების ჯანმრთელობას. ჩვენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ გარემოზე ზრუნვას და გარემოს გაჯანსაღებას.

- ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა.
- დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული რისკების შემცველი საქმიანობის ჩამონათვალი.
- უფრო ეფექტიანი გახდება მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ქვეყნის სივრცითი მოწყობისა და ქალაქების განვითარების გეგმებს, აგრეთვე სხვადასხვა სექტორში მომზადებულ გეგმებს/პროგრამებს ჩაუტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება.
- გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ეკოლოგიური დანაკარგების კომპენსაციის მიზნით, ჩამოყალიბდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა.
- მოწესრიგდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მოპოვების საკითხები, რათა სტიმული მიეცეს კერძო სექტორს და მაქსიმალურად დაინტერესდეს ამ სფეროთი.
- ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები.
- სახელმწიფო შეძლებს რესურსების ეფექტიანად გამოყენებასა და ათვისებას.
- სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას.
- ტყის მდგრადი მართვის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები.
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძელდება მერქნულ რესურსზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს ბიომასისა და ტყეში არსებული ნარჩენების გადამუშავებით ალტერნატიული ენერგორესურსების შექმნას, თბოეფექტური ღუმელების ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობასა და გავრცელებას.
- გაგრძელდება ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გამწვანებისთვის, ქარსაფარი ზოლებისა და ტყეების აღდგენა-განაშენიანებისთვის ხე-მცენარეების ნერგების გამოყვანა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის ფლორისა და ფაუნის ენდემური სახეობების გამოყვანა და ბუნებრივ გარემოში გამრავლება.
- კატასტროფული მოვლენებით გამოწვეული საფრთხეების რისკების შემცირების მიზნით გაფართოვდება მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაკვირვების ქსელი.
- გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დადგინდება საწვავის ხარისხობრივი ნორმები.
- გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში კონტროლის სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის დაცვა.
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

რასაკვირველია. საგზაო უსაფრთხოების სტანდარტები უნდა გაიზარდოს. მიღებული რეფორმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ეფექტიანი სისტემით, რომლის დანერგვა იქნება მნიშვნელოვანი. ერთ-ერთი პირველი ცვლილება შეეხება მგზავრობისას საბავშვო სავარძლების გამოყენების ვალდებულების შემოტანას 12 წლამდე ბავშვებისთვის, იმგვარად როგორც ეს არის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. აღნიშნული პროექტი ჩვენ მიერ ინიცირებულია პარლამენტში და მომდევნო მოწვევის პარლამენტი მას მიიღებს. ამ მოწვევის პარლამენტში, მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი არ იხილავენ აღნიშნულ პროექტს.

10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

ჩვენი პარტია აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან. ამ მოწვევის პარლამენტში შევქმენით თანამშრომლობის ახალი ფორმატები, რომლის ინიციატორი იყო პარტიის ლიდერი. ვაპირებთ ამ თანამშრომლობის გაძლიერებას. მნიშვნელოვანი რეფორმებისა და ინიციატივების შემუშავებისა და მიღების პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სამოქალაქო/არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

საქართველო, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე სახელმწიფოს სწრაფი ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში, გაწევრიანება ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის არჩევანია.

პარტიას აღნიშნულ ორგანიზაციებში გაწევრიანება მიაჩნია ეგზისტენციალური მნიშვნელობის საკითხად ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. სწორედ ამიტომ, საქართველომ აქტიურად უნდა განახორციელოს ყველა დემოკრატიული რეფორმა, რათა არ შეფერხდეს ეს პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ჯეროვნად შეასრულოს საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებები.

სახელმწიფოს განვითარებას დიდწილად განაპირობებს მისი საგარეო პოლიტიკის მიმართულებები. სწორედ ამიტომ, პარტია აქტიურად იმუშავებს იმისთვის, რომ დაიცვას საქართველოს ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე.

პარტია პატივს სცემს სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მიიჩნევს მათ თანასწორუფლებიან სუბიექტებად და მიესალმება მათთან თანამშრომლობას. პარტიის პოზიციაა, ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც

არსებობს/იარსებებს საერთაშორისო არენაზე, მოგვარდეს მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით. საქართველომ აქტიურად უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პარტია მხარს უჭერს საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. საქართველო გააგრძელებს გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების პროცესში მნიშვნელოვანი კონტრიბუციის შეტანას მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად. საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველომ უნდა გააგრძელოს და ამასთან, გააძლიეროს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა. ამ მიზნით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფოსთან აქტიურ თანამშრომლობას. პარტია საგარეო პოლიტიკის წარმართვის დროს იხელმძღვანელებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

პარტიის საგარეო კურსი არის პროდასავლური, საქართველო ისტორიულად და ორგანულად არის ევროპული ოჯახის ნაწილი. პარტიის ხედვაა, რომ საქართველო უნდა იყოს ევროატლანტიკური სივრცის სრულფასოვანი წევრი და ისწრაფვოდეს ევროკავშირში გაწევრიანებისკენ. უნდა შესრულდეს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან, ევროკავშირის ქვეყნებთან ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ამოქმედება, მართლმსაჯულების რეფორმა, სამართალდამცავი ორგანოების საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველომ უნდა გაატაროს მშვიდობიანი და კონსტრუქციული პოლიტიკა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა რაიმე სახის უთანხმოება, ქვეყანამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით უნდა გადადგას ქმედითი და ეფექტური ნაბიჯები.

ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფცია არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ძირითადი საპროგრამო თეზისები. მათი რეალიზება, ანუ მათი დარგობრივ პროგრამებად ქცევა უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხო არსებობასა და განვითარებას.

სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: ემყარება საზოგადოებისთვის მისაღებ იდეოლოგიურ, ჰუმანიტარულ, კულტუროლოგიურ და ტრადიციულ-ისტორიულ საფუძვლებს; შეიმუშავებს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების პროცესში ინვარიანტული უსაფრთხოების კომპონენტის გათვალისწინებით.

საქართველოს, როგორც რეგიონული ლიდერის ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გვესახება უსაფრთხოების კონცეფციის განსაზღვრა და მის საფუძველზე უსაფრთხოების დოქტრინის შემუშავება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ კავკასიის მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს კავკასიის უსაფრთხო რეგიონად ჩამოყალიბებას.

საქართველოს, როგორც კავკასიის უსაფრთხო რეგიონად ფორმირების მიზნით, კარგი კოორდინაცია უნდა ჰქონდეს სტრატეგიულ პარტნიორებთან. უსაფრთხოების თემა ყველაზე მგრძობიარეა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით. ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობა კონფლიქტურ ზონებთან, რაც გამოიხატება როგორც ტრადიციული მეთოდებით მუშაობაში, ისე ექსკლუზიური პროექტების განხორციელებით. მათგან პრიორიტეტულია უსაფრთხოების „გავლენის ზონების“ გაფართოება სოხუმისა და ცხინვალის რეგიონების მიმართულებით.

2. როგორ წარმოვიდგინათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

ქვეყნის თავდაცვისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია ორგანიზებული რეზერვი. უნდა მოქმედებდეს ეფექტიანი სარეზერვო სისტემა, რომლის საშუალებითაც პროფესიული სამხედრო კონტინგენტი შეძლებს ომის შტატზე სწრაფ და ეფექტიან გადასვლას. სისტემის შესაქმნელად აუცილებელია:

- სამხედრო ძალებში რეზერვის ორგანიზებისა და მართვის ერთიანი სისტემის შექმნა/განვითარება;
- აქტიური სარეზერვო სამსახურის გამოყენებით შეიარაღებული ძალებისა და ტერიტორიული რეზერვის შექმნა;
- რეზერვისა და რეგულარული სამხედრო ძალების საბრძოლო უნარების თავსებადობა;
- საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას ქვედანაყოფების შევსება სათანადოდ მომზადებული პერსონალით, უწყვეტად;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობა.

სამხედრო ძალების რეზერვი იყოფა ორ სახეობად: სამობილიზაციო და აქტიურ რეზერვად. სამობილიზაციო რეზერვი კომპლექტდება პირებისგან, რომლებმაც დაასრულეს რეგულარული სამხედრო სამსახური და არ ირიცხებიან სამხედრო რეზერვში.

სამობილიზაციო რეზერვში სამსახური ითვალისწინებს რეზერვისტის სახელფასო უზრუნველყოფას 100%-ით ქვედანაყოფში გამოძახებისას. აქტიური რეზერვი კომპლექტდება

სამხედრო-სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო მოსამსახურეებისგან, რომლებიც დათხოვნილი არიან რეზერვში ჩარიცხვით. აქტიური სარეზერვო სამხედრო სამსახური ითვალისწინებს რეზერვისტის სახელფასო უზრუნველყოფას.

სარეზერვო სამსახურის რეზერვისტების გამოყენებით სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა აყალიბებს სხვადასხვა დანიშნულების სარეზერვო კომპონენტებს, როგორცაა:

- შეიარაღებული ძალების რეზერვი;
- ტერიტორიული რეზერვი;
- სპეციალისტთა რეზერვი.

რეზერვის მართვის ერთიანი სისტემის შექმნით, ნებისმიერი მასშტაბის კრიზისის შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს სამხედრო ძალების ეფექტიან გამოყენებას ხანგრძლივი დროით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზღვრისპირა სოფლებში მოსახლეობის დაბრუნება. თავდაცვის სამინისტრომ უნდა შექმნას სამხედრო ბაზები, სადაც განთავსდება რეზერვის მომზადების ცენტრები. აღნიშნულ სოფლებში თავდაცვის სამინისტრომ სპეციალურად არსებული ფონდის სახსრებით უნდა ააშენოს საცხოვრებელი სახლები და, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, სამეურნეო მიწებთან ერთად საკუთრებაში გადასცეს რეზერვისტებს.

ამასთან, რეზერვისტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ როგორც სახელფასო სარგოთი, ისე სხვა სახელმწიფო სოციალური გარანტიებით. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს დაცარიელებულ საზღვრისპირა სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდას, რომლებიც გაივლიან უწყვეტ სპეციალურ წვრთნას და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ საბრძოლო მოქმედებებში.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

პარტია „სამართლიანობისთვის“ განსაკუთრებულ მიზნად ისახავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სამშვიდობო პოლიტიკით. ეს პროცესი უნდა დაიწყოს საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობითა და არსებული ფორმატების გამოყენებით, პრობლემა უნდა მოგვარდეს დიალოგის გზით, ყველა საკითხის ერთობლივი განხილვით. აუცილებელია სამოქალაქო ფორმატების გამოყენება და საერთაშორისო მედიაციის ეფექტიანად ჩართვა. უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა, დემოკრატიული სვლა, ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და ხელმისაწვდომობა უნდა გახდეს მიმზიდველი ფაქტორები ოკუპირებული რეგიონებისთვის.

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

საქართველოს სჭირდება ძლიერი თავდაცვითი სტრატეგია და საერთაშორისო ფორმატების მუდმივად გამოყენება. არ არსებობს დიალოგისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის გარდა უფრო ეფექტიანი მექანიზმი უწყვეტი პროვოკაციის პირობებში. სამისოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარება, მუდმივი და მჭიდრო კონტაქტი ჩვენს

პარტნიორებთან. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტი, რათა მათ არ იგრძნონ თავი მიტოვებულად და დაუცველად.